ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 248

ქალაქი ქუთაისი 8 ნოემბერი 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 3 ნოემბრის №44-442330799 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განკარგულების დანართში ჩამოთვლილი უძრავი ქონების (გარე განათების კონსტრუქციის (ბოძი) წერტილები) 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორულ კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (04.03.2022 წლის №06/03) შესაბამისად, რომელიც შეადგენს 225.0 (ორას ოცდახუთი) ლარს.

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა ქ რ ე ბ უ ლ ო
მას. №-82
3-11-2023 წ.

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
ქ. ქუთაისი • საქართველო

მუხლი 3. სააქციო საზოგადოება „სილქნეტმა“ (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978) სარგებლობაში გადაცემული 45 (ორმოცდახუთი) ერთეულ გარე განათების კონსტრუქციაზე (ბოძი) წერტილი გამოიყენოს საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად, 1 (ერთი) ერთეული კაბელის გატარებისათვის, უსაფრთხოების ნორმების და ტექნიკური ექსპლოატაციის წესების სრული დაცვით. სამუშაოების შესრულების შემდგომ უზრუნველყოს აღდგენითი სამუშაოების წარმოება.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2023 წლის 8 ნოემბრის
№248 განკარგულების დანართი

სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978)
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი

№	მისამართი	ქონების დასახელება	გარე განათების კონსტრუქციაზე (ბოძი) წერტილე-ბის რაოდენობა	საკადასტრო კოდი
1.	ქალაქი ქუთაისი, შოთა რუსთაველის გამზირი, ქალაქი ქუთაისი, ლაღიძის ქუჩა №8, ქალაქი ქუთაისი, რობაქიძის ქუჩა №10, ქალაქი ქუთაისი, გრიშაშვილის ქუჩა №1-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	8	03.00.018
2.	ქალაქი ქუთაისი, ხარებავას ქუჩა №18-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	1	03.00.063
3.	ქალაქი ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა №73-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	7	03.00.042
4.	ქალაქი ქუთაისი, ხახანაშვილის ქუჩა №42-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	2	03.00.060
5.	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №12-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	1	03.00.086
6.	ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №37-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	4	03.00.075
7.	ქალაქი ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი №19-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	6	03.00.034
8.	ქალაქი ქუთაისი, ლერმონტოვის ქუჩა №6-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	1	03.00.338
9.	ქალაქი ქუთაისი, ფალიაშვილის ქუჩა №27-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	3	03.00.028 03.00.059
10.	ქალაქი ქუთაისი, წერეთლის ქუჩა №186-ის მიმღებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	4	03.00.056
11.	ქალაქი ქუთაისი, კოსტავას ქუჩა №65-67-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	2	03.00.057
12.	ქალაქი ქუთაისი, გელათის ქუჩა №32-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	[illegible]	03.00.045

13.	ქალაქი ქუთაისი, ვარლამიშვილის ქუჩა №40-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	1	03.00.011
14.	ქალაქი ქუთაისი, აღმაშენებლის გამზირი №64-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	3	03.00.048
15.	ქალაქი ქუთაისი, ცხინვალის ქუჩა №4-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	1	03.00.025
	სულ		45	

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია